სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1.1/13

ქ. თბილისი 14.01.2014 წ.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წლის განმავლობაში მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:
   ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი - 300 ფურცელი;
   ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 700 ფურცელი.
2. დაევალოს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ.№52) ან/და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის რეესტრის წარმოების სამსახურის უფროსის (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) ნინო თოდუას სამსახურებრივი ბარათი (რეგისტრაციის N MES 6 14 00008888; 14.01.2014).

უფროსი ლაშა ვერულავა